

Conclusions des 3e Assises européennes du plurilinguisme-პლურილინგვიზმის ევროპული ობსერვატორიის მე-3-ე ყრილობის შედეგები

რომი, 2012 წლის 10-11-12 ოქტომბერი

პლურილინგვიზმის ევროპული ობსერვატორიის მე-3-ე ყრილობა ჩატარდა რომში „ლა საპიენცას“ უნივერსიტეტში 2012 წლის 10-12 ოქტომბერს, რომელიც ორგანიზებული იყო ერთობლივად ევროპის პლურილინგვიზმის ობსერვატორიისა და ევროლინგვისტიკა-სამხრეთის ასოციაციის მიერ, ზოგადი თემის ირგვლივ „ენები საზღვრებს გარეშე, პლურილინგვიზმი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა საპატიო თავმჯდომარე, პროფესორი ტულიო დე მაურო. ყრილობამ დაგვანახა, რომ პლურილინგვიზმი თავისი ინტერ და ტრანსკულტურული განზომილებებით ენობრივი მრავალფეროვნების, ხოლო თავისი ფორმებით შემოქმედებისა და მშვიდობის გარანტია.

ყრილობის შემდეგ გამოვიტანეთ ზოგადი და კერძო ხასიათის დასკვნები, რომლებიც განათლების, ეკონომიკის, პოლიტიკის(როგორც ნაციონალურ, ისე ინტერნაციონალურ განზომილებაში) და კულტურის სფეროებს მოიცავს.

ზოგადი ხასიათის დასკვნები

საჭიროა დავიწყოთ ფაქტის კონსტატირებით: მიუხედავად იმისა, რომ მონოლინგვისტური იდეოლოგია ყველა თვალსაზრისით მიუღებლად გვეჩვენება, დღეს ის კვლავ რჩება ყველა ევროპული ქვეყნის პერსპექტივად, რომელიც ვლინდება დინამიკაში, რომელმაც შეიძლება მიგვიყვანოს იდენტობის დაქვეითებამდე ან კიდევ ერთი რომელიმე ენის ინგლისურის ჰეგემონიამდე. ის არგუმენტები, რომლებიც წამოაყენეს პლურილინგვიზმისა და კულტურული მრავალფეროვნების სასარგებლოდ ეკონომისტებმა, იურისტებმა, ფსიქოლოგებმა და სხვა, მხოლოდ ელიტას ადელვებს.

ჩვენი საზოგადოებები რჩება მყარ მონოლინგვისტური გამოხატვის ზეგავლენის ქვეშ, რომელიც ისტორიულად სახელმწიფო-ერების ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული, რომლებსაც უარყოფენ ანტიკური პერიოდისა და ასევე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მაგალითები და რომლებიც აძლიერებენ ეკონომიკურ კრიზისს, რომელმაც ისეთი ლოგიკა დაამკვიდრა, თითქოს ენების სწავლების შემცირება/ გაქრობა უნდა გამოიწვიოს.

გლობალიზაციის პერიოდში და მულტიპოლარული სამყაროს გაჩენით, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნების გაძლიერებით როგორებიცაა ბრაზილია, ჩინეთი და ინდოეთი, ერთადერთი ლინგვა ფრანკას გამოყენება სულ უფრო მეტად მიგვანიშნებს იმაზე, რომ მას თავისი ზღვარი აქვს და დღევანდელ მსოფლიოში პლურილინგვიზმს უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ამ მხრივ მრავალი მიმართულებით უნდა წარვმართოთ მუშაობა

- კონკრეტულ საზოგადოებაში: განვავითაროთ წარმომადგენლობები საზოგადოებრივი აზრის მობილიზებით, იქნებიან ეს აღმზრდელები, მედია საშუალებები, ისე, რომ არ დაველოდოთ ხელმძღვანელების გადაწყვეტილებას. სამოქალაქო საზოგადოებაში არსებობს პატარა სამჭედლოები, საიდანაც მომდინარეობს ინფორმაციის გამავრცელებელი პროექტები;
- განათლებისა და კვლევის სფეროში

შევინარჩუნოთ და განავითაროთ კვლევისა და პლურიდისციპლინარული ქმედების ობიექტები ტერიტორიასთან ინტერაქციით და შემდეგ გავავრცელოთ შედეგები დაწვრილებით; ვიღვაწოთ შუამავლი ლინგვისტიკის განვითარებისათვის, რომელიც ცხოვრების ხარისხსა და სოციო-ეკონომიკურ განვითარებაზე იმოქმედებს;

აღმოვფხვრათ წინააღმდეგობები სხვადასხვა დისციპლინების მიმართ და მოვითხოვოთ ენათა და დიდაქტიკის სწავლება, იმისათვის, რომ მან უფრო მეტი ეფექტური ალტერნატიული გზა შემოგვთავაზოს განათლებისა და კვლევისათვის;

ხელი შევუწყოთ პლურილინგვისტურ და ინტერკულტურულ განათლებას განათლების ყველა დონეზე, საბავშვო ბაღიდან მოყოლებული უმაღლესს განათლებამდე დამთავრებული;

შევთავაზოთ მთავრობებს, რომ მრავალფეროვანი გავხადოთ ენის სწავლება დაწყებით კლასებში ისეთი სახით, რომ მრავალფეროვანი არჩევანის გაკეთება იყოს შესაძლებელი;

შეთავაზოს მთავრობებს, რომ პატივი სცენ საკუთარ ვალდებულებას, რომელიც ბრაზილიაში 2002 წელს ევროპის საბჭოზე აიღეს, რომელიც მეორე საფეხურზე მეორე ციკლის დასასრულს ორი სავალდებულო უცხოური ენის სწავლებას ეხება;

სთხოვოს ევროკომისიას, რომ შეთავაზოს ის ზომები, რომლებიც საშუალებას მისცემს ყველას მოხდეს ინგლისურის გარდა სხვა უცხოურ ენებზე სამეცნიერო პუბლიკაციების დაბეჭდვა;

შეთავაზოს უნივერსიტეტებს განახორციელონ ჭეშმარიტი ენობრივი პოლიტიკა, რომელიც არ უნდა შემოიფარგლონ სტუდენტთა მარტო ინგლისური ენის განმტკიცებით, არამედ გააგრძელოს ასევე მეორე უცხოური ენის, ან უმჯობესია მესამე უცხოური ენის სწავლება, რომელიც ლიცეუმში არ ისწავლება.

- ეკონომიკის სფეროში

ენობრივი მრავალფეროვნება და ენების ცოდნა უნდა განხილულ იქნას როგორც დასაქმების, კონკურენტუნარიანობის წყარო და ენებისადმი მიდგომას კი გარდაუვალი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საერთაშორისო საწარმოების მენეჯმენტის დროს;

მუშაობის უფლების პრინციპი ქვეყნის ენაზე უნდა გამოყენებულ იქნას საერთო წესით და ენობრივი მოთხოვნილება საწარმოების სტრატეგიის აუცილებლობის ადეკვატური უნდა იყოს.

ქმედება უნდა წამოწყებულ იქნას თითოეულ ქვეყანაში, იმისათვის, რომ გავრცელდეს კვლევისა და მსოფლიო სტანდარტების შედეგები საწარმოების სტრუქტურაში პროფესიული გადამზადების, დაწყებითი სწავლებისა და ტრენინგების გზით;

•პოლიტიკის სფეროში

ევროპის ქვეყნებმა უნდა მეტი ფოკუსირება მოახდინოს მიგრაციულ გამოწვევებზე იქნება ის ევროპის შიგნით თუ მის გარეთ და მართოს ინტეგრაციის პროცესი მრავალფეროვანი იდენტობის აღიარებით როგორც მიგრანტი ადამიანების ღირებულება და ასევე იმ საზოგადოების ღირებულება, რომლებიც ეს მიგრანტები მიიღო;

ევროკავშირმა უნდა კვლავ გაუსვას ხაზი მის პლურილინგვიზმს როგორც ევროპის მოქალაქობის საფუძველი და იქიდან გამოიტანოს დასკვნები;

ევროპის პლურილინგვიზმის ობსერვატორია მოუწოდებს, რომ განხორციელდეს მოქალაქეობრივი ინიციატივა, რათა განმტკიცდეს სახელმწიფო სტრუქტურების ფუნქციონირებაში პლურილინგვიზმის იურიდიული საფუძვლები.

•კულტურის სფეროში

შეუძლებელია ვიცოდეთ ყველა ენა. სწორედ ამიტომ თარგმანი ასრულებს მნიშვნელოვან როლს როგორც კულტურული ისე სამეცნიერო ასპექტების გადატანის დროს. ეს მოვლენა ახალი როდია. გადაჭარბებული არ იქნება თუკი ვიტყვით, რომ დასავლური ცივილიზაცია თარგმანისაგან გაჩნდა. ამ თვალსაზრისით, ეგრეთწოდებული „დასავლური“ მეცნიერება ის ვერ იქნებოდა, ინდური, ჩინური და არაბული სამყაროს წვლილის გარეშე. იმ დროს, როდესაც საუბარია სამყაროს დასავლეთის გავლენისაგან განთავისუფლებაზე, თარგმანს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ვიდრე აქამდე ეკავა.

ენები ერთმანეთს არ ჰგავანან და ისინი ამდენად უფრო შემოქმედებითი წარმოსახვის წყაროს წარმოადგენენ.

ეს ასეა ხელოვნებისა და ლიტერატურის სფეროში, ასევე იქნება ჰუმანიტარული თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერების სფეროში. ის არა მარტო აზროვნების უბრალო საშუალებაა, არამედ ისინი ახდენენ მათ ფორმირებას.

პლურილინგვიზმისა და თარგმანის გარეშე, რაც შეიძლება მეტი ენის შემთხვევაში, არ არსებობს ცოდნის, იდეებისა და წარმოსახვის ჭეშმარიტი გაცვლა და შესაბამისად, ამის გარეშე ვერც თანამედროვე სამყაროს ვერ გაუგებთ მისი მრავალფეროვნების მთელი სიუხვით.

კინემატოგრაფიისა და აუდიოვიზუალური შემოქმედების სფეროში, ნეოლიბერალური პოლიტიკის, რომელსაც 80-იანი წლებიდან მოყოლებული აწარმოებს მრავალი მთავრობა, ერთადერთი შედეგი ჰქონდა, შეესუსტებინა შემოქმედებითი უნარი. საჭიროა, რომ ხელი შეუწყონ ეროვნულ პოლიტიკას, რომელიც კოორდინირებული იქნება ევროპულ პოლიტიკასთან, რომელიც საშუალებას მისცემს აუდიოვიზუალური წარმოებისა და ევროპული კინოს აღორძინებას.

პირველი თემატიკის (განათლება) დასკვნა

აღზრდის უპირობო პლურილინგვისტური მოთხოვნა ადრეული ასაკიდან უმაღლესს განათლებამდე

ჟან-კლოდ ბეაკო

პირველი თემატიკა იყო „უპირობოდ პლურილინგვისტური აღზრდის მოთხოვნა ადრეული ასაკიდან უმაღლესს განათლებამდე“. მის ფარგლებში ჩატარდა 7 მრავალი მაგიდა და 40-მდე გამომსვლელმა მიიღო მონაწილეობა. საკმარისია ითქვას, რომ პლურილინგვისტურ განათლებას მყარად აქვს ფესვები გადგმული დიდაქტიკურ პრაქტიკასა და აზროვნებაში. ენათა დიდაქტიკაში შექმნილი ეს პროექტი ცდილობს გავრცელდეს სხვაგანაც სამოქალაქო საზოგადოებაში.

ტერმინ პლურილინგვიზმს, როგორც მოსალოდნელი იყო მრავალი ინტერპრეტაცია და კომენტარი მოჰყვა. ანალიზის პირველმა მიმართულებამ განიხილა განათლების სისტემაში შეთავაზებული ენების მრავალფეროვნება, რომელიც შეიძლება გაფართოვდეს მონაცემთა ცვლილებებით ისეთი სახით, როგორც ის ევროპის საერთო მონაცემთა ჩარჩომ (პარაგრაფი 8) შემოგვთავაზა ან კიდევ მოცემულია ევროპაში განათლების ენობრივი პოლიტიკის შემუშავების სახელმძღვანელოში (III ნაწილი) და რომელიც ენათა სწავლების მეთოდებისაგან გამომდინარეობს. აღნიშნეს, რომ ენების განათლების სისტემაში შეთავაზების ფორმები გაუმჯობესდა, მაგრამ უფრო ფართო სახით ასეთი შეთავაზება არ

იწვევს სოციალური მოთხოვნის დივერსიფიკაციას. ეს საკითხი პოლარიზებული რჩება ინგლისურით და უგულვებელყოფს ობიექტურ მონაცემებს, რომლებიც ამტკიცებს, რომ მხოლოდ ინგლისური ენა საკმარისი არ არის. თუმცა საუნივერსიტეტო განათლების განვითარება, რომელიც მხოლოდ ინგლისურ ენაზეა დაფუძნებული ვითარდება და წარმოქმნის პრაქტიკული და სოციალური სამართლიანობის პრობლემებს, რომლის მნიშვნელობას უბრალოდ სათანადოდ არ აფასებენ მისი ინიციატორები.

ყველაზე ფართოდ წარმოდგენილი თემატიკა პლურილინგვისტური კომპეტენცია გახლდათ. ყველა ადამიანის უნარი ისწავლოს ენები არა მხოლოდ ადრეულ ასაკში, არამედ მთელი სიცოცხლის მანძილზე. ენების ინდივიდუალური კატალოგის შექმნა და განვითარება (სადაც ენები ერთმანეთს კონკურენციას კი არ უწევენ, არამედ რთულ სტრუქტურებში იქნებიან თავმოყრილი), შესაძლებელია იმ მექანიზმებისა და ღონისძიებების საშუალებით, რომელიც კარგად არის განსაზღვრული და რომელთა უმრავლესობა პრაქტიკულად წარმოდგენილი იქნა გამოსვლებში: ენების ინტეგრირებული დიდაქტიკა (ან პედაგოგია), EMILE¹ CLIL² ou AILC³, ორენოვანი განათლება, მეზობელი/მონათესავე/ახლო ენების ურთიერთგაგება, ენებისადმი ინტერესის გაღვივება, ე.წ. language awareness⁴ ან EOLE⁵, ინტერკულტურული მიდგომები... ეს სტრატეგიები, რომელთა სექტორული გამოყენება წარმატებით ხორციელდება, ჯერ ერთმანეთთან არ არის იმ დონეზე დაკავშირებული, რომ შესაძლებელი გახდეს მრავალენოვანი სასწავლო პროგრამების შემუშავება იმ კუთხით, როგორც ამას მრავალენოვანი და ინტერკულტურული სწავლების კურიკულუმების შემუშავების თვითმკვლევი გულისხმობს.

http://www.coe.int/t/dg4/linguistic/Source/Source2010_ForumGeneva/GuideEPI2010_FR.doc.

მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა საკითხები, რომლებზეც მომავალში უნდა მოხდეს ყურადღების გამახვილება: მასწავლებელთა სპონტანური „კომპარატივისტული“ პრაქტიკის გამოყენება, ინგლისური ენის მასწავლებლების მრავალენოვანი სწავლების მედროშეებად გამოყენება, ძირითადი სასწავლო ენის სხვადასხვა საგნებში სპეციფიკური გამოყენების გზით ენების სწავლების პრაქტიკის დაახლოვება (ისტორია, მათემატიკა, ხელოვნება), კურიკულუმების, როგორც ფრანგული ენის სასწავლო გეგმის გამოყენება

¹ საგნების სწავლება უცხოური ენის ინტეგრაციის გზით

² საგნის სწავლა უცხო ენის ინტეგრირების საშუალებით

³ შედარებითი ლიტერატურის საერთაშორისო ასოციაცია

⁴ უცხო ენებისადმი ყურადღების მიპყრობა

⁵ სკოლებში განათლებასა და უცხოური ენების სწავლისათვის მზადყოფნა

(<http://www.plandetudes.ch/web/guest/1/cg/>), რომელიც ე.წ გაერთიანებული ენების სფეროს ქმნის (ძირითადი სასწავლო ენა, მეორადი ენები, უცხოური ენები).

შემუქმნარებლობისა და სოციალური კოჰეზიის გაუარესების ფონზე, გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ ენების სწავლების პროცესში აუცილებლად უნდა ჩავრთოთ ინტერკულტურული და ლინგვიტური შემუქმნარებლობის ელემენტები, უნდა გავუღვივოთ მოსწავლეებს ცნობისმოყვარეობა განსხვავებულის მიმართ, რაც მათ პიროვნების ჩამოყალიბებაში დაეხმარება (**Bildung**). ეს ის როლია, რომელსაც კლასიკური ენები კლასიკური პერიოდის ევროპული ჰუმანიზმის დროს ასრულებდნენ.

სხდომის დროს წამოყენებული იქნა შემდეგი წინადადებები:

- სხვადასხვა რეგიონებთან შეთანხმებით უნდა შევინარჩუნოთ და განვაფართოოთ კვლევისა და პლურიდისციპლინარული მოქმედების პროგრამები და უნდა მოხდეს მისი შედეგების გავრცელება.
- უნდა ვიმუშავოთ ინტერვენციული ლინგვისტიკის განვითარების კუთხით, რომელიც ცხოვრების ხარისხსა და სოციო-ეკონომიკურ განვითარებაზე მოახდენს გავლენას.
- უნდა მოხდეს სხვადასხვა საგნებისათვის ბარიერების მოხსნა და ენების სწავლებისა და ენების დიდაქტიკის გამოყენება იმისათვის, რომ განათლებისა და კვლევის განვითარებისათვის უფრო მეტი ეფექტური ალტერნატიული გზა გამოიძებნოს.
- განათლების სისტემის ყველა ეტაპზე, დაწყებითი სკოლიდან დაწყებული უმაღლესი განათლებით დამთავრებული, მოხდეს მრავალენოვანი და ინტერკულტურული განათლების განვითარება და ხელშეწყობა.
- უნდა მოხდეს დაწყებითი სკოლიდან ლინგვისტური სწავლების დივერსიფიცირება და ამ მრავალფეროვანი არჩევანის გამოყენების უზრუნველყოფა.
- უნდა გაგრძელდეს ბარსელონაში 2002 წელს ჩატარებული ევროპული საბჭოს მიერ დასახულ მიზნებზე მუშაობა, რომელიც სასწავლო სისტემებში მეორე საფეხურის მეორე ციკლის დასასრულს სავალდებულო ორი უცხო ენის ცოდნას გულისხმობს.

- ევროპამ უნდა გაატაროს ზომები იმისათვის, რომ ინგლისური ენის პარალელურად, კვლავ მოხდეს ნაშრომების გამოქვეყნება სხვა უცხოურ ენებზე.
- უნდა მოხდეს რეალური ლინგვისტური პოლიტიკის განხორციელება უნივერსიტეტებში, რომელიც მხოლოდ ინგლისური ენის ცოდნის გამყარებით კი არ შემოიფარგლება, არამედ ხელს შეუწყობს მეორე, ან უკეთეს შემთხვევაში მესამე უცხოური ენის შესწავლას, რომელიც ლიცეუმებში არ ისწავლება.

მეორე თემატიკის დასკვნები (ეკონომიკა)

პლურილინგვიზმი, როგორც ეკონომიკური და სოციალური თანხმობის განვითარების ფაქტორი

ენრიკა გალაცი

ეს ის საკითხია, რომელიც ენების შესახებ თანამედროვე მსჯელობას უწყობს ხელს. ეს მსჯელობა მიმდინარეობს სამ ძირითად საკითხზე, ამდენივე მრგვალი მაგიდის ირგვლივ: ენები საწარმოების ცხოვრებაში, ენებზე როგორც მენეჯმენტის ერთ-ერთ ელემენტზე მუშაობა, ინტელექტუალური მუშაობის სოციო-ეკონომიკური ასპექტები.

ერთი საერთაშორისო ენის დამკვიდრება ძალიან ხშირად წარმოდგენილია როგორც კულტურებს შორის უმოკლესი გზა და დროისა და შესაბამისად, ფულის დაზოგვის საშუალება. ამ ბრმა გატაცების ფონზე კი, საწარმოები და სხვადასხვა სტრუქტურები ხშირად რეალურობის შეგრძნებას კარგავენ, როგორც ეს ისეთი დიდი საწარმოების მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, როგორებიცაა l'Oréal და ATR⁶, რომლებმაც დიდი სირთულეების მიუხედავად, ნაყოფიერი პლურილინგვისტური პოლიტიკის გატარება შეძლეს. ამ პოლიტიკის საშუალებით მათი თანამშრომლების მრავალმხრივი კომპეტენციის მეშვეობით დიდი მოგება მიეღოთ. როგორც აღმოჩნდა, პლურილინგვიზმის და კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა მომგებიანია.

მკვლევარები, რომლებიც მუშაობენ ეკონომიკურ და სოციალურ მეცნიერებებში, ენათმეცნიერებებსა და ანთროპოლოგიაში, გაერთიანდნენ და პროფესიულ გარემოში ენობრივი მიდგომის პერსპექტივები გააერთიანეს. ზოგიერთმა მკვლევარმა

⁶ საავიაციო ტექნიკის ფრანგულ-იტალიური მწარმოებელი

სიღრმისეულად შეისწავლა „ენების ეკონომიკა“ და ციფრებით დაამტკიცა პლურილინგვიზმის უპირატესობები როგორც საწარმოებისათვის, ასევე დასაქმებულთათვის. კრიზისულ სიტუაციებში, რასაც ხშირად საწარმოების შიდა რეორგანიზაცია ახლავს თან, პლურილინგვიზმი საწარმოებს საშუალებას აძლევს საკუთარი თანამშრომლები არ დაითხოვოს სამსახურიდან და სხვადასხვა თანამდებობებზე გადაანაწილოს, რაც საწარმოს თანამშრომელთათვის დასაქმების გარანტიას წარმოადგენს.

ენებზე მუშაობა მენეჯმენტის ნაწილი გახდა, აცხადებს ზოგიერთ მკვლევარი, რომელმაც ტერმინები „ეთიკური მენეჯმენტი“ და „მრავალფეროვნების მენეჯმენტი“ შემოიღეს. სამუშაო ჯგუფები უფრო და უფრო მულტიკულტურული და მრავალენოვანი გახდა. ეს ფაქტი საწარმოებისათვის გარდაუვალ ელემენტს წარმოადგენს და ადამიანური რესურსების სამსახურის ხელმძღვანელებისათვის გადამწყვეტ გამოწვევად იქცა. ინიციატივები, რომლებიც უნივერსიტეტებიდან, უმაღლესი სკოლებიდან და სხვა სასწავლო დაწესებულებებიდან მომდინარეობს, ადასტურებს, რომ განათლების სფეროში აცნობიერებენ იმ გამოწვევებს, რომელსაც პლურილინგვიზმი მასწავლებლების მომზადების კუთხით აყენებს. ასევე დღის წესრიგში დადგა სპეციალიზირებული ლინგვისტური საჭიროებების საკითხი, განსაკუთრებით ტერმინოლოგიისა და თარგმანის კუთხით. ერთ-ერთმა გამომსვლელმა პროფესიული ლინგვისტური მომზადების საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საჭიროა უარის თქმა იმაზე, რომ ერთადერთი ენა როგორც კომუნიკაციის ინსტრუმენტი შეზღუდულად და გულუბრყვილოდ იყოს გამოყენებული. უნდა მოხდეს სავაჭრო და მენეჯმენტის სკოლების ლინგვისტური შემოთავაზებების ხელახალი გააზრება საუნივერსიტეტო ქალაქების ინტერნაციონალიზაციის, ბარიერების მოხსნის, ლინგვისტური პედაგოგიკის განვითარებისა და მასწავლებელ-მკვლევარ-ლინგვისტების მონაწილეობის გზით.

ერთ-ერთი მრგვალი მაგიდის დროს სიტყვით სხვადასხვა ქვეყნის ლინგვისტები გამოვიდნენ (კანადა, რუმინეთი, გერმანია, იტალია), რომლებიც პლურილინგვიზმისა და პლურილინგვიზმში მუშაობენ. თუკი ზოგიერთები, ენებზე ეკონომიკური იდეოლოგიის გადაცდენებს გამოხატა, სხვებს მიაჩნიათ, რომ საწარმოს ფინანსური და ეკონომიკური მიზნების განხორციელებას მრავალენოვანი ადამიანური რესურსების სამართლიანი მართვა დიდწილად აიოლებს. ამას ადასტურებს საფრანგეთის, კანადის, ისრაელისა და ინდოეთის პროფესიულ წრეებში ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც თუკი დასავლეთში პლურილინგვიზმი აღიქმება როგორც სერიოზული სწავლის შედეგი, ასეთი მიდგომა ინდოეთში ბანალურია. მულტიკულტურული ჯგუფების ჰეტეროგენულობა გაანალიზებულია როგორც კრეატიულობისა და ინოვაციური მიდგომების წყარო (ნაყოფიერი მრავალფეროვნება). სოციო-ეკონომიკურ, აღმზრდელობით, პოლიტიკურ და სოციალური პლურილინგვიზმის სიმბოლურ და პროფესიულ ასპექტებზე ორიენტირებული ეროვნული და ევროპული პროექტების რიცხვი უკანასკნელი წლების განმავლობაში

გაიზარდა როგორც ევროპის ქვეყნებში, ასევე სხვა ქვეყნებშიც. მკვლევარების რიცხვმა მნიშვნელოვნად იმატა. სხდომის ფარგლებში ისეთი პროექტების იგნორირება როგორებიცაა Language Rich Europe საწარმოებისათვის, CELAN ლინგვისტური კომპეტენციისა და კონკურენციისათვის და DYLAN (ენების დინამიკა და საწარმოებში მრავალფეროვნების მართვა) შეუძლებელია, ვინაიდან მათ მრავალ კვლევას ჩაუყარეს საფუძველი, რომლებმაც უამრავი იმედისმომცემი ემპირიული მონაცემები მოგვცა. ეს პროექტები საშუალებას გვაძლევს საკუთარ თავს, ენებსა და სხვის კულტურას ახლებური მზერა მივაპყროთ.

სხდომამ შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- ლინგვისტური მრავალფეროვნება და ენობრივი კომპეტენცია არის და უნდა განიხილებოდეს როგორც კონკურენტუნარიანობის და დასაქმების რესურსი, ხოლო ენები უნდა განვიხილოთ როგორც საერთაშორისო საწარმოების მენეჯმენტის გარდაუვალი ელემენტი.
- უნდა განზოგადდეს მასპინძელი ქვეყნის ენაზე მუშაობის პრინციპი და მოხდეს ლინგვისტური მოთხოვნილებების საწარმოთა საჭიროებებზე მორგება.
- თითოეულ ქვეყანაში უნდა გატარდეს ღონისძიებები, რომლის მიზანიც ეკონომიკის სფეროში პროფესიული ჟურნალების, თავდაპირველი განათლებისა და უწყვეტი მომზადების გზით ენაზე მუშაობის უზრუნველყოფა იქნება.

მესამე თემატიკის დასკვნები (პოლიტიკა)

იმპერიალიზმიდან საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ განსხვავებებამდე.

პოლ გილსი

ევროპული საზოგადოება ორი ფენომენის პირისპირ აღმოჩნდა, რომელიც მოქალაქეობის საწყისებს ეჭვქვეშ აყენებს. ამ ცნებებს, რომელიც სინამდვილეში დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენს, სხვადასხვა საზოგადოება განსხვავებულად აღიქვამს. ცოტა ხნის წინ მესამე ფენომენი გაჩნდა, რომელიც პლურილინგვიზმსა და შესაბამისად დემოკრატიას, ახალი შეკითხვის წინაშე აყენებს.

ერთი მხრივ, მიგრაციული მოძრაობის დინამიკა მასპინძელ ქვეყნებში დროებითი ინტეგრაციისა და მიგრანტებისა თუ მასპინძელი ქვეყნის საზოგადოებისათვის მრავალფეროვანი თვითმყოფადობის როგორც ღირებულების აღიარების საკითხს

წარმოშობს. ეს ის მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომლის წინაშეც ევროპული ქვეყნები დგანან და რომლის დაძლევა, მხოლოდ ისტორიის რესურსისა და მრავალი ისტორიული მაგალითის გააზრებითაა შესაძლებელი. ხშირად ამ შეკითხვებზე პასუხი განსხვავებული და მერყეობს, იმ განსხვავებულობის გათვალისწინებით, რაც ევროკავშირის ინტერკულტურულობისათვის დამახასიათებელი და მისაღებია. ყოფილი იმპერიებისა და მათი მემკვიდრე ქვეყნების მაგალითი ძალზე საინტერესოა იმ კუთხით, რომ მათთან პლურილინგვიზმის ფორმები ყოველგვარი ოფიციალური ლინგვისტური პოლიტიკის გარეშეც რეალურად არსებობს. იმ უკანონობას თუ არ ჩავთვლით, რომელიც სახელმწიფო საზღვრებზე არსებობს, აფრიკული ქვეყნების შემთხვევაში პლურილინგვიზმი საზოგადოების მუდმივი ევოლუციის გათვალისწინებით, პრაგმატული პლურილინგვიზმის ფორმებს სავსებით კარგად უთავსდება.

მეორე მხრივ, ევროპული ინტეგრაცია ზღუდავს ეროვნულ სუვერენიტეტს, რაც თავის მხრივ, მოქალაქეობის გამოხატულების საუკეთესო საშუალებაა, თუმცა მას გარკვეულ სიახლესა და ორიგინალურობას მატებს, რაც თავის მხრივ მასტრისის ხელშეკრულებიდან იღებს სათავეს. პლურილინგვიზმი ევროკავშირის ძირითადი პრინციპია, რაც 1958 წლის N1 დადგენილებაში ნათლადაა ჩამოყალიბებული. ეს დადგენილება სხვადასხვა ინსტიტუციების ფუნქციონირების ადაპტაციას ითვალისწინებს, თუმცა, აღნიშნული ადაპტაციით შეუძლებელია გავამართლოთ ის ქმედებები, რომლებიც ამ დადგენილების სრულ იგნორირებას ახდენს. ისეთი პოლიტიკური დოკუმენტების საზეიმო ხელმოწერის მიუხედავად, როგორებიცაა 2005 წლის “მულტილინგვიზმის ახალი სტრატეგიული ჩარჩო” ან 2007 წლის “მულტილინგვიზმი: ევროპის უპირატესობა და საერთო ვალდებულება”, რეალობა ამ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული პრინციპებისაგან საკმაოდ განსხვავებულია. ამ კუთხით, ევროპარლამენტის ფუნქციონირება ნამდვილად სამაგალითოა, თუმცა წარმოუდგენელია, მაგრამ ევროკომისიის 33-დან 9 სამსახურის ინტერნეტსაიტი მხოლოდ ერთ ენაზე არსებობს, მაშინ როდესაც სხვა განყოფილებების საიტები 23 ენაზეა შედგენილი. არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, 2012 წლის პირველი აპრილიდან მოქალაქეობის შესახებ ევროპული ინიციატივა ამოქმედდა, რომლის განხორციელებაც 2007 წლის ლისაბონის ხელშეკრულებით გახდა შესაძლებელი. აღნიშნული ხელშეკრულებით ევროკავშირს მიენიჭა იურიდიული პირის სტატუსი და წილობითი დემოკრატიის განხორციელების უფლება, რაც ევროკავშირის მილიონამდე მოქალაქეს საშუალებას მისცემს მიმართონ ევროკომისიას, რათა ამ უკანასკნელმა თავის კომპეტენციის ფარგლებში საკანონმდებლო წინადადების წამოყენება შეძლოს.

და ბოლოს, ევროპის ქვეყნებში პოლიტიკური რეჟიმების ცვლილების შედეგად გაჩნდა ახალი საკითხები, რომელზეც იურიდიული პასუხი ევროკავშირს დღესდღეობით არ გააჩნია. ევროპის მრავალი რეგიონი ითხოვს ან აპირებს მოითხოვოს დამოუკიდებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხოვნები ჯერჯერობით რეალურ ნაბიჯებში არ

გადაზრდილა, ისინი ზოგიერთ შემთხვევაში მულტილინგვიზმის გაფართოების და პლურილინგვიზმის შემცირების პარადოქსს, უფრო ზოგადად კი, ურთიერთ-საწინააღმდეგო ურთიერთობას ქმნიან, რომელიც ენების იდენტურობის, ინტერნაციონალურისა და ტრანსნაციონალურის შორის გამოყენებას ახლავს თან.

თუკი ბოლო ვარიანტთან დაკავშირებით შესაძლებელია რეგიონალური პოლიტიკური ინსტანციების მიერ რეფერენდუმების ჩატარება, პირველი ორი შემთხვევა შესაძლოა მოქალაქეობის შესახებ ევროპული ინიციატივის მსჯელობის საგანიც გახდეს, რომლის ამოქმედებაც პლურილინგვიზმის სიმბოლური მუტაციისათვის არის საჭირო. ამით ევროპულული ინსტიტუტები შეძლებენ ფუნდამენტური ორაზროვნებისაგან თავის დააღწევას, რაც მათ იმიჯზე უარყოფითად მოქმედებს და ავთენტური მოქალაქეობის შექმნას უშლის ხელს, რომელიც კი არ ჩაენაცვლება, არამედ დაემატება სახელმწიფო მოქალაქეობას.

მეოთხე თემის დასკვნები (კულტურა)

კულტურა, კულტურული მრავალფეროვნება, ცოდნის, იდეებისა და ფანტაზიების გავრცელება.

მიხაელ უსტინოვი

ერთ-ერთ ცნობილ სტატიაში, რომან იაკობსონი თარგმანის 3 ტიპს გამოყოფს: პირველი ტიპი გულისხმობს თარგმანს მშობლიური ენის შიგნით, ეს არის ენის ფუნდამენტური ოპერაცია, რომლის გარეშეც კომუნიკაცია შეუძლებელია. მეორე ტიპი, სახელდობრ, თარგმანია, რომელიც სრულდება ერთი ენიდან მეორე ენაზე. მესამე ტიპი კი, ერთი ნიშანთა სისტემიდან მეორე სისტემაზე გადასვლას გულისხმობს. დღეს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების არნახული განვითარების შედეგად, ჩვენ ისეთ სამყაროში გვიწევს ცხოვრება, სადაც თარგმანის როლი, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ასეთი მნიშვნელოვანი არასოდეს ყოფილა: თუკი პიტერ ტიროპის ნაშრომის სათაურს მოვიშველიებთ, ჩვენს ეპოქას „ტოტალური თარგმანის“ ეპოქა შეგვიძლია ვუწოდოთ.

ინტერნეტი ამის თვალსაჩინო მაგალითია: 1980-იან წლებში უცხოურენოვანი ინტერნეტწყაროები ფასიანი იყო, წვდომა საკმაოდ შეზღუდული. ინტერნეტის გაჩენის შემდეგ, ინგლისურენოვან საიტებს ინტერნეტსივრცის 80% ეკავა. სულ რაღაც 10 წლის განმავლობაში, ინგლისურის წილი 30%-მდე შემცირდა. ინტერნეტი მასობრივად მრავალენოვანი გახდა და ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაღრმავდება ე.წ BRICS-ის ენებისა (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი) და ესპანური, არაბული და სხვა ენების გაძლიერების შედეგად.

მსოფლიოს ხელახალი ბაბილონიზაციის შედეგად მხოლოდ ინგლისური ენის გამოყენება ბუნებრივია ჩიხში შეგვიყვანს. ამას უკვე ანგლოფონური სამყაროც აცნობიერებს და ძალზე ავტორიტეტული British Academy-ის თაოსნობით პლურილინგვიზმის რეკლამირებას იწყებს, რაც თავის მხრივ ე.წ. „პასიური“ ურთიერთგაგებისა და გაგების ბერკეტებს ამცირებს. პლურილინგვიზმი და თარგმანი ამიერიდან თანამედროვე სამყაროს ორი უმთავრესი ელემენტია. უცხოური კულტურისა და ენების უარყოფა უდიდეს დაბრკოლებას ქმნის, რამაც შესაძლოა სხვადასხვა სფეროებში ინფორმაციის ნაკლებობა განაპირობოს.

ამ შემთხვევაში, მხოლოდ რაოდენობრივი საკითხი არ დგება დღის წესრიგში. ბევრს ჰგონია, რომ ენები უბრალო გაცვლით ინსტრუმენტს წარმოადგენენ: პირიქით, თითოეული ენა მისთვის დამახასიათებელი მსოფლმხედველობის მატარებელია და ენა, როგორც აზროვნების, ასევე აზრის მამოძრავებელი ძალაა. ამ კუთხით, ენა კრეატიული წარმოსახვის განუყოფელი ნაწილია, როგორც ხელოვნებასა და მწერლობაში, ასევე ჰუმანიტარულ და ე.წ. „ზუსტ“ მეცნიერებებში.

ეს კონცეფცია ახალი არაა, ის სათავეს ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტის საქმიანობიდან იღებს, მისი განვითარება კი გერმანიიდან შორს, კერძოდ კი, შეერთებულ შტატებში, რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში მოხდა (თვით რუსი ფორმალისტებიც კი, ამ თეორიას დიდად უმადლიან). ამ ნოვატორულმა იდეებმა მხოლოდ 1970-იანი წლებიდან დაუთმო ადგილი უნივერსალურ ხედვას, რომელიც ინგლისური ენის მსოფლიო მასშტაბით გავრცელების პარალელურად განვითარდა.

ინგლისური ენის საყოველთაო გამოყენების მოდელით ხდება როგორც ლინგვისტური მრავალფეროვნების, ასევე თარგმანის უარყოფა. თუკი თარგმანს მხოლოდ ფინანსური კუთხით შევხედავთ და არ გავითვალისწინებთ იმას, თუ როგორ მდიდარ ინფორმაციას გვაწვდის იგი, თუკი სამყაროში კომუნიკაცია მხოლოდ ერთ გლობალურ ენაზე ანუ Globish-ზე განხორციელდება, მაშინ თარგმანი ზედაპირული გახდება. შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ენებისა და კულტურების ნეოჰუმბოლტისტური ხედვა დღეს, როგორც არასოდეს, ისე დგას დღის წესრიგში.

მე-3-ე ყრილობას ხელმძღვანელობდნენ:

თემატური ჯგუფების თავმჯდომარეები:

ჟან-კლოდ ბეაკო, სორბონის ახალი უნივერსიტეტის პროფესორი, ევროსაბჭოსა და ევროპის კომისიის ექსპერტი

ენრიკა გალაცი, მილანის კათოლიკური უნივერსიტეტის უცხოური ლიტერატურისა და ლინგვისტური მეცნიერების ფაკულტეტის ფრანგული ლინგვისტიკის პროფესორი (ფრანგული კვლევის დოქტორი) ფრანგული ენის დიდაქტიკური დოკუმენტაციისა და კვლევის ცენტრი, იტალია

პოლ გილსი, ბრიუსელის უმაღლესი სკოლის პროფესორი

მიკაელ უსტინოვი, სორბონის ახალი უნივერსიტეტის დოცენტი

მრგვალი მაგიდების მოდერატორები იყვნენ:

ჯოვანი აგრესტი, ტერამოს უნივერსიტეტის, სოციალური განვითარების თეორიისა და პოლიტიკის დეპარტამენტის მკვლევარი-ფრანგული ლინგვისტიკის მასწავლებელი

ფრანსუა-გზავიე დ'ალინი, საერთაშორისო განათლების განვითარების ფონდის თავმჯდომარე, პლურილინგვიზმის ევროპული ობსერვატორიის თავმჯდომარის მოადგილე, დამფუძნებელი

ელიზაბეტა ბონვინო, რომი 3-ის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ფულვიო კაჩია, მწერალი, პოეტი, ნოველისტი და ესეისტი

ჯუზეპე კასტორინა, ლა საპიენცას უნივერსიტეტთან არსებული სამხრეთ ევროლინგვისტიკის ასოციაციის თავმჯდომარე

კრისტოს კლარისი, სორბონის დეკარტის უნივერსიტეტის პროფესორი ემერიტუსი, პლურილინგვიზმის ევროპული ობსერვატორიის ადმინისტრაციული საბჭოს წევრი

სანდრინ დეტიენი, მთარგმნელი, პარიზის მთარგმნელ-თარჯიმანთა უმაღლესი სკოლის დოცენტი

პიერ ფრატი, რეიმს- შამპან არდენის უნივერსიტეტის პროფესორი, ენებისა და აზროვნების ინტერდისციპლინარული კვლევების ცენტრის დირექტორი, უცხოური ენების ასოციაციის წევრი

ენრიკა გალაცი, მილანის კათოლიკური უნივერსიტეტის უცხოური ლიტერატურისა და ლინგვისტური მეცნიერების ფაკულტეტის ფრანგული ლინგვისტიკის პროფესორი

(ფრანგული კვლევის დოქტორი) ფრანგული ენის დიდაქტიკური დოკუმენტაციისა და კვლევის ცენტრი, იტალია

კლერ გუაიე, ორგანიზაციის ენობრივი მრავალფეროვნება და ფრანგული ენა-ბრიუსელი-ევროპა, თავმჯდომარე

ასტრიდ გიომი, პარიზის სორბონის უნივერსიტეტის დოცენტი, პლურილინგვიზმის ევროპული ობსერვატორიის თავმჯდომარის მოადგილე, დამფუძნებელი, კვლევის სფეროს მიმართულებით.

ალფონს კნაუტი, შედარებითი ლიტერატურის საერთაშორისო ასოციაციის კომიტეტის “მსოფლიო ლიტერატურაში მულტილინგვიზმის ასახვა“ წევრი, რურის ბოჰუმის უნივერსიტეტის კათედრა, გერმანია

ფილიპ ლეკონტი, პროფესორი-მკვლევარი, ტულუზის ბიზნეს სკოლა, სასწავლო ჯგუფის მენეჯმენტი და ენა, თავმჯდომარე, საფრანგეთი

რობერტო პროვენცანო, ენებისა და კომუნიკაციების თავისუფალი უნივერსიტეტის დოცენტი

მომხსენებლები:

ჯოვანი აგრესტი, ტერამოს უნივერსიტეტის, სოციალური განვითარების თეორიისა და პოლიტიკის დეპარტამენტის მკვლევარი-ფრანგული ლინგვისტიკის მასწავლებელი

ფრანსუა-გზავიე დ'ალინი, საერთაშორისო განათლების განვითარების ფონდის თავმჯდომარე, პლურილინგვიზმის ევროპული ობსერვატორიის თავმჯდომარის მოადგილე, დამფუძნებელი

კოლბერ აკიეჯი, ასისტენტი, ჩანგის უნივერსიტეტი, ფილოლოგიისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტი, კამერუნი

მარია ელენა არაუჟო ესა, პროფესორი, სილვია მელი-პფაიფერი, მკვლევარი, დიდაქტიკური კვლევებისა და ტექნოლოგიის ცენტრი და მასწავლებელთა მომზადებაში, ავეიროს უნივერსიტეტი, პორტუგალია

აბდენურ არეზკი, ლინგვისტური მეცნიერებების პროფესორი, ბეჟაიას უნივერსიტეტი, ალჟირი

დავიდე ასტიორი, პარმის უნივერსიტეტის მკვლევარი, კლასიკური და შუა საუკუნეების ფილოლოგიის დეპარტამენტი, იტალია

იზაბელ ოდრა, მკვლევარი-მასწავლებელი, ლე მანის უნივერსიტეტი

მონიკა ბარნი, სიენის უცხო ენების უნივერსიტეტის პროფესორი, იტალიური როგორც უცხო ენის სერტიფიცირების ცენტრის დირექტორი

ერვე ბოდრი, ჯერალდ ერვეს მეგობრების საზოგადოების გამომცემლობის „ჩრდილის ხაზი“ დირექტორი

მირიამ დე ბოლიე, სინქრონისტი თარჯიმანი, ორლეანის უნივერსიტეტი

ოლენა ბიენ, დოქტორანტი, დოქტორანტების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „სწავლების პროცესი“, ლანდაუს უნივერსიტეტი, გერმანია

ფულვიო კაჩია, მწერალი, პოეტი, ნოველისტი, ესეისტი

მარი-ელენ კაიოლი, პოლიტიკური მოლოდინის ევროპული ლაბორატორიის/ევროპა 2020, თავმჯდომარე

მიშელ კანდელიე, პროფესორი-ემერიტუსი, ლე მენის უნივერსიტეტი

ჯუზეპე კასტორინა, ლა საპიენცას უნივერსიტეტის პროფესორი, ევროლინგვისტიკა-სამხრეთი ასოციაციის თავმჯდომარე

ასმა შამლი-ჰალვანი, ფრანგული ენისა და ლიტერატურის პროფესორი, ლიბანის უნივერსიტეტი, ბეირუთი, ლიბანი

კორინა ჩილიანუ-ლასკუ, უნივერსიტეტის პროფესორი, ბუქარესტის ეკონომიკური კვლევების აკადემია, რუმინეთი

მანუელა ჩიპრი, უშტატო პროფესორი, ლა საპიენცა, იტალია

ლაურა კოროამა, მკვლევარი-მასწავლებელი, ქრისტიანული უნივერსიტეტი „დ. კანტემირი“, ტიმისოარა (რუმინეთი)/ ლე მანის (საფრანგეთი) უნივერსიტეტის დოქტორანტი, რუმინეთი

ნატალია დანკოვა, პროფესორი-მკვლევარი, უტაუეში კვებეკის უნივერსიტეტი, ენების კვლევების დეპარტამენტი, კანადა

მარი-კრისტინ დეირიშ, უნივერსიტეტების პროფესორი, კარი სტუნელი, ბორდო IV-ის -მასწავლებელთა მომზადების საუნივერსიტეტო ინსტიტუტის მონტესკიეს სახელობის უნივერსიტეტი, საფრანგეთი

სონია დი ვიტო, დოცენტი კონტრაქტით, კასინოს უნივერსიტეტი, იტალია

ქეთევან ჯაში, თბილისის ილიას უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, რომანისტიკის დეპარტამენტი, საქართველო

ლატიფა ელ ჰადრატი, მასწავლებელი-მკვლევარი, ჰასან მეორეს სახელობის/ მოჰამედი, ფილოლოგიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, კასაბლანკა, მაროკო

ნერიმან ერატალე, ჰასეპეტის უნივერსიტეტის პროფესორი-ემერიტუსი, ანკარა/ თურქეთი

მარიო ფორმიკა, მარკეტინგისა და აირალინ კვლევების თავმჯდომარის მოადგილე, ავიატრანსპორტის ჯგუფი

პიერ ფრეტი, რეიმს- შამპან არდენის უნივერსიტეტის პროფესორი, ენებისა და აზროვნების ინტერდისციპლინარული კვლევების ცენტრის დირექტორი, უცხოური ენების ასოციაციის წევრი

კურტ გავლიტა, იურისტი და პედაგოგი, გერმანული ენის ასოციაცია, გერმანია

დოქტორ მიქელე გაცოლა, ბერლინის უნივერსიტეტის ჰუმბოლტის სახ. ეკონომიკის უნივერსიტეტი

კლერ გუაიე, ორგანიზაციის ენობრივი მრავალფეროვნება და ფრანგული ენა-ბრიუსელი-ვეროპა, თავმჯდომარე

კრისტელ ანრი, ფრანგული როგორც უცხო ენა მასწავლებელი, პარმის ევროპული სკოლა, მე-20-ე საუკუნის ინტერდისციპლინარული კვლევების ცენტრი, იტალია

იან კასის ჰენდერსონი, ევროპის ბიზნეს სკოლა, საფრანგეთი

ნიკულინა ივანჩიუ, უნივერსიტეტების პროფესორი, ბუქარესტის ეკონომიკური კვლევების აკადემია, რუმინეთი

იდა ივაშკო, ტულუზის უნივერსიტეტი-ლე მირაი, მონპელიე 2-ის უნივერსიტეტი, საფრანგეთი

ემილი კასაზიანი, დოქტორანტი ენების დიდაქტიკაში, მასწავლებელი საათობრივი ანაზღაურებით, პედაგოგიური სახელმძღვანელოების იდეის ავტორი, პარიზი 3 სორბონის ახალი უნივერსიტეტი, ენების, ტექსტებისა და კულტურების დიდქატიკის ლაბორატორია, საფრანგეთი

ნაველ ხერა, ასისტენტ-მასწავლებელი, ფერჰატ აბეს სახ. უნივერსიტეტში, სტიფი, ალჟირი ჟულიენ კილანგა მუზინდი, მწერალი, ანჟერის უნივერსიტეტის პროფესორი, საფრანგეთი

ალფონს კნაუტი, შედარებითი ლიტერატურის საერთაშორისო ასოციაციის კომიტეტის “მსოფლიო ლიტერატურაში მულტილინგვიზმის ასახვა“ წევრი, რურის ბოჰუმის უნივერსიტეტის კათედრა, გერმანია

ვირჟინი კრემზ პიკარდე, ასოციაცია მიგრაციული(მულტილინგვისტური ახალგაზრდული გამომცემლობა) თავმჯდომარე, ბენანსონის უნივერსიტეტის, ფრანგული როგორც უცხო ენა განყოფილების მაგისტრანტი

ან-ბირტ კრიუგერი, ფრანშ კონტეს უნივერსიტეტის სემიოტიკის, ლინგვისტიკის, დიდაქტიკისა და ინფორმატიკის ლაბორატორიის დოცენტი, საფრანგეთი

ჯენიფერ ლაზარიკ ჟუნჟიკი, მთარგმნელი, სამეცნიერო და ტექნიკური თარგმანების ხორვატიის ასოციაცია

ნატალია ლეკლერკი, მასწავლებელი, (შედარებითი ლიტერატურის დოქტორი, მაგისტრი FLE -ში, აგრეჟე თანამედროვე ლიტერატურაში, დასავლეთ ბრეტანის უნივერსიტეტი/ ბრეტანის ევროპული უნივერსიტეტი, კვლევითი ჯგუფი, 4249, ბრესტი, საფრანგეთი

ფრანსუაზ ლეკლერი, მასწავლებელი, ფსიქოპედაგოგიკის აღმზრდელი, დოქტორანტი, ლე მენის უნივერსიტეტი, ალზრდის კვლევითი ცენტრი

ფილიპ ლეკონტი, პროფესორი-მკვლევარი, ტულუზის ბიზნეს სკოლა, სასწავლო ჯგუფის მენეჯმენტი და ენა, თავმჯდომარე, საფრანგეთი

ფრანსუაზ ლე ლიევერ და ჟილ ფრლო, დოცენტები, კვლევით ჯგუფთან DYNADIV 4246-თან ასოცირებული წევრი და ჟიულ ვერნის სახ. პიკარდიის უნივერსიტეტი

ბრიჯიტ ლემეტრი, პედოფსიქიატრი, ოჯახის თერაპევტი, ბავშვთა და ახალგაზრდათა ფსიქოპედიატრიის სამსახურის ხელმძღვანელი, სარტის სპეციალიზებული ჰოსპიტალი-ზირებული ცენტრი, დეპარტამენტის ინსტიტუტი, საფრანგეთი

სტეფან ლოპესი, ევროკავშირის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე

ემანუელ ლულინი, ლ'ორეალის ეთიკური ჯგუფის დირექტორი

ტუფიკ მაჟდი, უნივერსიტეტის პროფესორი, კონსულტანტი პედაგოგი, კურიბას პოლიდისციპლინარული ფაკულტეტი, სეტატის ჰასან პირველის სახ. უნივერსიტეტი, მაროკო

ჯოვანა მანილა და სილვია პალინი, ევროპული ენებისა და ხმელთაშუა ზღვის ასოციაციის რედაქციის წევრები

ტულიო დე მაურო, ლა საპინცას პროფესორი-ემერიტუსი

ამირ მეჰდი, მასწავლებელი-მკვლევარი, იბნ ხალდუნის სახ. უნივერსიტეტი, ტიარე, ასოცირებული მკვლევარი, კვლევითი ჯგუფი შარტი, ლუტინი, პარიზი, ალჟირი

სილვია მელი-პვაიფერი, მკვლევარი, განათლების დეპარტამენტი, ავეიროს უნივერსიტეტი, პორტუგალია

სტეფან მილიერინა, ფრანგულის ლექტორი გაცვლითი კონტრაქტით, რომი 3-ის უნივერსიტეტი, იტალია

რალფ მოციკატი, პროფესორი, მედიცინის დოქტორი, მეცნიერი, კვლევის სფერო, გერმანული როგორც მეცნიერების ენა, გერმანია

ივ მონტენე, დემოგრაფი, მწერალი, მასწავლებელი, ყოფილი მრეწველი, საფრანგეთი

დოქტორი მორდელე-როგენბუკი, პროფესორი, პედაგოგიური უმაღლესი სკოლა, რომანიტისკის ინსტიტუტი, გერმანია

სერაფინო მური, კინემატიგრაფიის კრიტიკოსაი, მწერალი და რეჟისორი

ფლორინ ტეოდორ ოლარიუ, მეცნიერი მკვლევარი, რუმინეთის აკადემია, ლაზის ფილიალი, რუმინეთი

რობერტო პროვენცანო, ენებისა და კომუნიკაციების თავისუფალი უნივერსიტეტი

იზაბელ პუოცო, სწავლების პასუხისმგებელი, ლოზანის უმაღლესი პედაგოგიური სკოლა, შვეიცარია

ნიკოლა რეჯიანი, ბერძნული ისტორიის მოყვარული, პარმის უნივერსიტეტი, ისტორიის დეპარტამენტი, იტალია

პაოლა რივიეჩიო, ეროვნული განათლების მასწავლებელი, სორბონის ახალი უნივერსიტეტის დოქტორანტი, პარიზი, საფრანგეთი

ორელ როსკა, ფრანგული როგორც უცხო ენა მასწავლებელი, პროექტ „პლურილინგვიზმი თავიდანვე“ (2009-2014), სასკოლო ჯგუფი „ალექსანდრე მაკედონსკი“, მელინესტი, რუმინეთი

ივანა რონევიჩი, მეცნიერ თანამშრომელი, პედაგოგიკის ფაკულტეტი, ზაგრების უნივერსიტეტი

ჯანკარლო როსი, მილანის ფილოლოგიური წრის მრჩეველი და ფონდი სოდალიტას ლათინური სექციის თავმჯდომარე, ასოციაცია: მილანის ფილოლოგიური წრე, იტალია

ლეირე რუის დე სარობე, უნივერსიტეტის პროფესორი, ბასკეთის მხარის პროფესორი, ვიტორია, ესპანეთი

იოლანდა რუიზ დე სარობე, ლინგვისტიკის ასოციერებული პროფესორი, ბასკეთის მხარის უნივერსიტეტი, ესპანეთი

ხაბიერ სან ისიდრო, ენების ტრენინგის დეპარტამენტის დირექტორი, ლინგვისტიკის ინოვაციის ცენტრი, ლეკაროსი, ნავარა, ესპანეთი

ვერონიკ სიმონი, ენის დიდაქტიკის დოცენტი, უფსალას უნივერსიტეტი, შვედეთი

ილჰამ, სლიმ-ჰოტეტი, ფრანგული ენისა და ლიტერატურის სრული პროფესორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ლიბანური უნივერსიტეტი, ბეირუთი, ლიბანი

სუზან სილვასი, უფროსი მეცნიერ ასისტენტი, კაპოსვარის უნივერსიტეტი, უნგრეთი

მარინ ტოტოცანი, მასწავლებელი-მკვლევარი, სენტ-ეტიენის უნივერსიტეტი, ფრანგული როგორც მეორე უცხო ენის ლაბორატორია, ენებისა და კულტურის კომპარატივისტული დიდაქტიკის კვლევების ცენტრის ლაბორატორია, საფრანგეთი

კრისტიან ტრამბლე, პლურილინგვიზმის ევროპული ობსერვატორია, პროექტ CELAN-საწარმოებისათვის ენების ხელშეწყობა, პასუხისმგებელი საფრანგეთის მასშტაბით

მარია ტრონეა, ფრანგული ენის მასწავლებელთა ასოციაცია, კრაიოვა, რიმუნეთი

ვალერია ვილა, ასისტენტი, დოქტორანტიმსტიპენდიანტი, ბორდო 3-ის მიშელ დე მონტენის სახ. უნივერსიტეტი, ჯგუფი AMERIBER იბერიკული და ლათინური ამერიკის ქვეყნები, საფრანგეთი

დიეტრიხ ვოსლამბერი, ფიზიკოსი, გერმანული ენის გაერთიანება, გერმანია

რებეკა ვილერი, ინგლისური ენისა და ლიტერატურის პროფესორი, ნიუპორტ ნიუსი, აშშ

ვიტო ზაგარიო, რეჟისორი